ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 525

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი № 28-ის მიმდებარედ 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.10.14.030.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ისტამბულისთვის" (საიდენტიფიკაციო №405489136) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, პეკინის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ისტამბულისთვის" (ს/ნ. 405489136) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 სექტემბრის №22.1390.1526 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი №28-ის მიმდებარედ 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.14.030.065) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნიუ ისტამბულისთვის" (საიდენტიფიკაციო №405489136) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 740 (შვიდი ათას შვიდას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე